№ 182 29 აგვისტო, პარასკევი. 1866—1880 29 აგვისტო პარასკევი. № 182.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, ქარვასლის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ... ხახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების" „ივერიის" რედაქციაში. გარე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцiи „Дроэба" и „Иверiи"

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| „დროება"-„ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

ერთი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებისთვის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

**იოანე ნათლის-მცემლის თავის მოკვეთის დღესასწაულის გამო ხვალ გაზეთი არ გამოვა.**

---

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება" და „ივერია" ერთად

შვიდი მანეთი

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**ლონდონი, 26 აგვისტოს.** დღეს პარლამენტის სხდომები დაიხურა. სატახტო სიტყვაში მოხსენებული იყო აღმოსავლეთის საქმეში ევროპის თანხმობა და გამოცხადებულია მათი მშვიდობიანად გადაწყვეტის იმედი. რობერტსის გამარჯვება მალე და ღირსეულად დაასრულებს ავღანთან ომსაო. პარლამენტის სხდომები $^{24}/_{11}$-მდე გადადვეს.

**ტომსკი, 26 აგვისტოს.** დღეს, პანაშვიდის შემდეგ აქ დიდის ამბით ჩადვეს ციმბირის უნივერსიტეტისათვის უმთავრესი შენობის საძირკველი. ციმბირის სხვა-და-სხვა ქალაქებიდამ დეპუტატები მოვიდნენ და ბევრი ტელეგრამმები სხვა ადგილებიდამაც.

---

## იმერელი მოსამსახურენი თბილისში

ტფილისი, 28 აგვისტოს.

ჭეშმარიტად ყურადღების ღირსია თფილისის მოსამსახურეების მდგომარეობა. ამათთანა უპატრონო, ამათთანა შევიწროვებული და დაჩაგრული თავიანთ „ალებისა" და ბატონებისაგან სხვა არც ერთი წოდების ხალხი არ მოიძებნება თფილისში. ისე თითქმის დღე არ გაივლის, რომ რომელიმე „ბატონმა" სრულებით უმიზეზოთ არ გაისტუმროს თავის მოსამსახურე და ამასთანავე ჯამაგირი არ დაუჭიროს. ხშირად სრულიად წარმოუდგენელ, უბრალო, ტყუილ მიზეზებს უგონებენ, გაჰგებ ჩხუბს გაუმართევენ, ესა და ეს დაგვეკარგა ან წაგვიხდა, შენს მეტი ვინ იქნებოდაო, და ისტუმრებენ მოსამსახურეს, რომელსაც ჩივილისა და არძების წერის თავი არა აქვს, ვინ მისცა შეძლება, რომ რამდენიმე მანეთისათვის ადვოკატი დაიჭიროს, და ამ ნაირად ოფლითა და დამცირებით შეძენილი ჯამაგირი უსამართლოდ ეკარგება.

მაგრამ [illegible] ტფილისში და სხვა ქალაქებში ნამყოფ მოსამსახურეების ბედი კიდევ ისე შესაბრალისი არ არის, როგორც ახლად ჩამოსულ იმერლის ბიჭებისა. ღარიბ ქვეყანაში მცხოვრები ხალხი სოფლის მუშაობისაგან წელ-მოწყვეტილი დიდის სიამოვნებით სტოვებს თავის მიწა-წყალს და მიდის სხვაგან სადმე, ოღონდ კი ლუკმა პური მოიპოვოს და ამასთანავე ცოტა რამ სწავლაც შეიძინოს, ქვეყანა ნახოს.

ამ სურვილით აღძრული პატარა ბიჭებიც კი მუდამ წელიწადს ასობით და ორასობით აალერებ თავს და მოდიან თფილისში. აქ ამათ ხშირად არც არავინ ნათესავი ჰყავსთ, არც ნაცნობი; რამდენიმე დღე დახეტიალობენ ქუჩა-ქუჩა და ბოლოს, როცა საქმე გაუჭირდებათ, ვინც პირველი „ალა-ბატონი" შეხვდებათ, დაუდგებიან მოსამსახურეთ.

შესაბრალისია ამათი მდგომარეობა ამ ალა-ბატონებთან. ერთი-ორი წელიწადი სულ უბრალო ფასით, ხშირად მუქთადაც, იმსახურებენ, განუწყვეტელ წვალებაში არიან ბატონებისაგან, უბრალო რასმეს გასტეხენ — ერთი-სამად გარდაახდევინებენ, არაფერს არც ასწავლიან; ბოლოს, როცა ვადა მოვა ჯამაგირის მიღებისა, რაღაც-რაღაც შარებს მოსდებენ, ჩხუბს გაუმართავენ და ხელ-ცარიელს ისტუმრებენ.

ეს ერთი მაგალითი კმარა გამოუცდელის ბიჭისათვის, რომ შემდეგ სულ სხვა კაცი შეიქნეს: თუ ვისმესთან დადგა, ყველაზედ პირველად იმას ეცდება, რომ მოტყუებული არ დარჩეს ამ ახალი ბატონისაგან და ბოლოს იქამდინაც შეიძლება მივიდეს, რომ თვითონ მოატყუოს ეს ბატონი, [illegible] რამ ცუდ-კაცობა ჩაიდინოს იმის სახლში.

ამ ნაირად ძალა-უნებურად უმანკო იმერელი ბიჭი ფუჭდება უსინიდისო ბატონების ხელში და ხშირად მთელს თავის სიცოცხლეს ჰღუპავს, ციმბირში გასაგზავნი ხდება.

პირველად არ გვითქვამს ჩვენ ამ საგნის შესახებ, რომ ამ გვარის მდგომარეობიდამ მოსამსახურეების გამოყვანა შეუძლიან ერთ ისეთ კანტორას ან ბიუროს, რომელისაგანაც ყოველ უადგილო, უპატრონო იმერელ ბიჭს შეეძლოს დარიგების მიღება, გზა-კვალის გაგნება, ადგილის შოვნა და გაჭირების დროს ხელის-მომართვა.

ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი იყო ბატ. ა. მაჩხუბარიძის წერილი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ რამდენსამე პირს იმერელ მოსამსახურეთაგანს განუზრახავსთ ცალკე საზოგადოების შედგენა იმ აზრით, რომ გახსნან ზემოხსენებული კანტორა, აგრეთვე სამზარეულო და გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა თფილისში მყოფ იმერელ მოსამსახურეებისათვის.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ ამბის შეტყობა ძალიან სასიამოვნოა. ყველა ეს დაწესებანი იმათ აუცილებლად ეჭირებათ და თუ გამართვა მოახერხეს, თუ თავიდამვე კეთილ სინიდისიან და მცოდნე კაცებმა აწარმოეს ეს საქმე, უეჭველია, უნდა მოველოდით, რომ, ადრე თუ გვიან, იმერელი მოსამსახურეები დაიხსნიან თავის თავს იმ შევიწროებულ მდგომარეობიდამ, რომელშიაც ისინი ამჟამად სხვა და სხვა სოვეხ-ბატონებისაგან არიან ჩავარდნილი.

უკანასკნელი რომ ვსთქვათ, იმერელი მოსამსახურეები და ხელობის კაცები თფილისში ათი-ათასამდინ [illegible] ამათი დახსნა ბოროტებისაგან და რიგიან, დამოუკიდებელ გზაზედ დაყენება ყველასთვის სანატრელი და სასურველი უნდა იყოს.

ამ საგანს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით შემდეგში.

---

## ახალი ამბები

როგორც იწერებიან, სტავროპოლის გუბერნიიდამ და დონის უაზახების მიწიდამ დიდ-ძალი კალია ყუბანის მაზრაში გადაფრენილა და იქ ზოგიერთ ალაგას ნამუშევარი გაუ-

---

დროების ფელეტონი, 28 აგვ.

---

## ორი წლის შემდეგ

ომიანობის დროს, როდესაც ჩვენმა ჯარებმა ციხის-ძირი დაიჭირეს ბევრი რამ ვნახე იქ შესანიშნავი. სხვათა შორის დერვიშ-ფაშის აგებული სახლი ციხის-ძირზედ გასაკვირველი რამ სანახავი იყო იმ დროს, რადგანაც სახლი კი არა, მაშინ თავი როგორ ახსოვდა ამ ფაშას... მაგრამ ის ყოველის მხრით თავისუფალი ფაშა ყოფილა: რაც უნდოდა, იმას სჩადიოდა, ჯარი სახლსაც უშენებდა, სიმაგრესაც უკეთებდა და სხვ...

მაგრამ უკუღმა დატრიალდა თათრების ბედი და იღბალი: ბედმა დაატოვებინა ამ ფაშას მშვენიერ ადგილზედ და მშვენიერის არხიტექტურით აგებული ქვითკირის სახლი, რომელიც დერვიშ-ფაშას ალბათ საუკუნო „რეზიდენციათ" ნდომებია; მისს ფიქრში არ ყოფილა, თუ რუსები ციხის-ძირს დაიჭერდნენ.

ეს ქვით-კირის სახლი იმისთანა გამოჩენილ ადგილზედ დგას, რომ ზღვასაც და მთელ ქობულეთს და გურიას თავზედ დამზერს. სახლი გაწყობება რამოდენიმე ოთახებათ: საწოლი ოთახი, სასტუმრო (კაბინეთი), და საბარგო, თავისი სუფთა ფეხის ადგილითურთ. აქ დერვიშს მუდამ ორი სამი ლამაზი ქალი ჰყავდაო, ამბობენ...

ჩინებულ დროებას ატარებდაო. რადგანაც მაგარს და მიუვალ ადგილზედ მდგარა, იმიტომ დიდს განცხრომას და ქეიფს მისცემია, ასე რომ არაფერი კარგი სასმელი და საჭმელი არ ჰკლებია; როგორც იტყვიან ჩვენში; „ჩიტის რძე არ ჰკლებიაო!" კარგი სასმელი, კარგი საჭმელი და მასთან . . . . . ! ამას რამე სჯობია ამ ქვეყნიერ ცხოვრებაში განსაკუთრებით ოსმალოს ფაშისათვის?! სახლის წინ იყო სუფთა ეზო წვრილი ქვით მოკენჭილი.

ნუ დაივიწყებთ, რომ დერვიშ-ფაშა მუშირი იყო და, რასაკვირველია, ძალა და ნება ჰქონდა, და რაც უნდოდა, იმას შვრებოდა. წარმოიდგინეთ, რომ თუ ქობულეთელი კაცის ან სხვა ვისმესი რაიმე ხასიათი ან ყოფაქცევა არ მოეწონებოდა, ან ტრაპიზონს და ან სტამბოლში „გაგზავნიდა.

„— დერვიში შეუბრალებელი დერვიში არისო, მითხრა ერთმა ქობულეთის ალათაგანმა. მე, ძიავ, ორ ჯელ გამგზავნა ყარაულს ქვეშ ხან ტრაპიზონს, ხან სტამბოლს ყოვლის უმიზეზოთ, ვითომც ქართველს მოვდგომოდე და თათარი ქე დამეტოვებიოს, ძიავ; მარა ყველგან გამამართლეს და გამოჰშვეს ჩემს სამშობლოში. აგრეთვე ალი-ფაშა თავდგირიძე სულ თავიდამ, როგორც დაიწყო

ფუქებია. გავლილ ივლისის 31-ს, სხვათა შორის, დონის მიწიდამ იმდენი კალია მოფრინავდაო ქ. მისკისაკენ, რომ შვიდი ვერსი სიგრძით და 2 ვერსი სიგანით მიწა თითქმის სულ დაბნელებული იყოვო.

* * *

რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშნვა:

„კავკასიაში, ქიზიყის მთებსა და ტყეებს შუა ქ. სიღნაღის მახლობლად დგას ერთი უძველესი ძეგლი მართლ-მადიდებელ ქართველთ ეკკლესიისა: ეს არის საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინოს მონასტერი, რომელიც აგებულია 326 წელს, რამდენიმე წლის შემდეგ წმ. ნინოს მიცვალებისა და რომელშიაც იმყოფება თვით გვამი წმ. ნინოსი.

„ამ მონასტერს დიდი მნიშვნელობა ჰქონია ქართველთ საეკკლესიო ისტორიაში. ძველი მეფეები საქართველოსი ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდნენ, რომ მტრის აოხრებისაგან დაეცვათ ეს მონასტერი.

„საუბედუროთ, მას აქეთ, რაც საქართველოს ეკკლესია უუწმ. სინოდს ექვემდებარება, ამ მონასტერსაც ის ბედი მოუვიდა, რაც დანარჩენ აქაურ მონასტრებს: უყურადღებობით დაძველდა და ლამის დაინგრეს. მხოლოთ ამ უკანასკნელ დროს პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატმა ბ. საბინინმა დაიწყო ზრუნვა ამ მონასტერზე და, ზოგიერთ ქველ-მოქმედ პირების შემწეობით, მოს- [illegible] რამდენიმე უსაჭიროესი საეკკლესიო ნივთები მონასტრისათვის. ამ ნივთთა შორის არის ერთი მშვენიერი მარმარილოს ყუთი (ლუსკუმა), რომელიც ბ. რასტერიაევმა შესწირა წმ. ნინოს საფლავისათვის.

* * *

ზურიიდამ იქაურ პოლიციის პრისტავების სამდურავს გვწერენ: ერთს ამათგანს გავლილ ივნისის თვეში რაღაც ლაპარაკი მოსვლია ერთს ვიღაც გლეხთან, ამ დროს რევოლვერი ამოუღია, გულში უკრავს ტყვია და იქვე მოუკლავს. მეორეს მარინობის დღესასწაულზე ერთის გლეხისათვის ჯერ იმდენი უცემია, რომ „ძვალი რბილად გარდაუქცევია“ და მერე აუღია ეს გლეხი და ბალკონიდამ გადაუგდია.

გასაკვირველი არ არის პრისტავებისაგან ამისთანა ამბები იმ მაზრის უფროსის ხელში, რომელიც, როდესაც ოზურგეთის მთელი ბაზარი იწვოდა, იმდროს თავის ოთახში ბძანდებოდა და ძლივ გამოიყვანეს გარეთ, რომ რამე განკარგულება მიეცა ცეცხლის გასაქრობად და დაზიანებული ხალხის საშველად.

* * *

ჩვენი ახალ-სენაკელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ ამ თვის 19-ს, სამშაბათს ერთს აქაურ ტრაქტირში ქეიფი გაემართათ აქაური უეზდის უპრავლენიის იასაული ჯოკომია და ვიღაც თოფურია, თამაშობის დროს რაღაზედაც ჩხუბი მოსვლოდათ, ჯაკობიას ამოუღია ხანჯალი და დაუჩეხია თავის მოწინააღმდეგე. ექიმის შემოწმებით, თოფურია არ გადარჩება ამ ჭრილობისაგან. დამნაშავე ამ ამბის შემდეგ, სამ დღეს დასეირნობდა ახალ-სენაკში, მერე პოლიციამ დაიჭირაო, მაგრამ გამომძიებელმა მეორე დღესვე გაათავისუფლა თავდებითაო.

* * *

ესევე კორრესპოდენტი გვწერს, რომ სოფ. ქვალონში ისე დღე არ გაივლისო, რომ ქურდებმა ცხენი ან ხარი არ მოიპარონო. [illegible] სოფელში შკოლა იყოვო, მაგრამ ორი წელიწადია, რაც ეს შკოლა დაკეტილია და შაგირდები მას აქეთ დათხოვნილი არიან და მამების ხელობას (ქურდობას) სწავლობენო.

* * *

რაჭის მაზრის სოფელ ჭრიხიდამ ვვატყობინებენ, რომ ამ დღეებში მდ. შაურაში დამრჩვალან თ. მიხა წულუკიძე და პლატონ წერეთელი. პირველ ამათგანი წყალში თევზაობდა თურმე და როდესაც გაუჭირდა იქედამ ამოსვლა, დაიყვირა მიშველებაო. პლატონ წერეთელი მიეშველა მაგრამ... ორნივე განქრნენ მდინარის ზვირთებ ქვეშ.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. მიხაილ აბულაძე აბეჭდინებს „არჩილიანს“ ეს პოემა პირველათ იყო დაბეჭდილი პლატონ იოსელიანისაგან 1850 წ.

* * *

გიმნაზიაში იღებენ ყმაწვილებს; რეალურს სასწავლებელში, პროგიმნაზიაში, ცალკე პანსიონებში და სხვ. იღებენ ყმაწვილებს ახალს „წერა-კითხვის საზოგადოების“ შკოლაში, ქალაქის სახელოსნო შკოლაში; მაგრამ მსურველები იმდენი არის, რომ ორი ამდენი სასწავლებელიც რო იყოს ქალაქში ვერ აუვა.

* * *

ჭუკიაში, მეცხრე უჩასტკაში, როგორც ვტყობულობთ, ქურდობა ძლიერ გახშირებულა. . . . . . . . .

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ამ დღეებში გამოვიდა პატარა, ლამაზად დაბეჭდილი და ლაზათიანად მოხატულის სათაურით წიგნი „სტვირი და სხვა ლექსები“ იოსებ დავითაშვილისა. თუ რომელიმე წიგნს ეღირსება ჩვენში „სახალხო“ წიგნის წოდება და მისი გავრცელება ხალხში სასურველი იქნება, მაშინ უეჭველია ი. დ—ს წიგნსაც არ აცდება ეს პატივი.

ამ წიგნის ავტორმა (ილიკომ) გულის-ხმა მოსცა ყველა იმ ფიქრებს, რომელნიც აუცილებლად თავში უნდა უტრიალებდეს ხოლმე ყოველს კაცურს-კაცს ქართველს. იმას გულს უხიბლავს და მწარედ აფიქრებს საქართველოს ეხლანდელი მდგომარეობა, რომელიც ყველაზე უფრო გლეხებს აწვება თავის სრულის სისასტიკით; იგი ცდილობს აიხსნას და მკითხველსაც აუხსნას ამ მდგომარეობის გამომწვეველი მიზეზი და გამონახოს მისი მომსპობი საშუალება.

ეს ფიქრები და წადილი ჩინებულის სიტყვებით არის გამოხატული იმ ათიოდე ლექსში, რომლებითაც შედგება მთელი ეს წიგნი. ავტორს კიდეც აუსრულებია [illegible] ზემოხსენებულის მდგომარეობის გამომწვეველ მიზეზის შესატყობლად მას თვალი გადაუვლია წარსულის ისტორიულის ცხოვრებისათვის (გვ. 22) და დაუნახავს, რომ

„შინ შრომაში, გარეთ ომში
სულ ყველგან გლეხი კვდებოდა...“
„შინ საქმისთვის არ ეცალა
გაეწია ანგარიში“

და ამის წყალობით ბუნებით ნიჭიერს ქართველებს ბუნებისაგან უხვად შემკულის საქართველოის

„უქმად დაგვრჩა მთა და ბარი.“

ამ გარემოების ასაცდენად ჩვენი ავტორი—მელექსე მკითხველთ ურჩევს ცნობილს, უებარს, მაგრამ ჯერ სანამდე მიუღებელად დარჩენილს საშუალებას:

„უმცადე სწავლა მიიღო:
იგი ცხოვრების ხიდია;
მაშინ გეშველოს ძირს დასდო
ესლა რომ ტვირთი გკიდია!“

ამ აზრს თითქმის ყოველ გვერდზე იმეორებს ჩვენი მელექსე—გლეხი, და ამბობს, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავია კაცის გაჭირვების ატანის ხელის მომწყობი, მისი უებარი მეგობარი—იმედი. ამ იმედით იგი მიჰმართავს ჩვენს მოწინავე კაცებს:

„რასაც გვპირდებით, ჩვენცა გვრძნობთ,
[illegible] იმედი,
არ დაგვივიწყოთ, გვადგვიძეთ,
რომ ავიშოროთ შავ-ბედი!“ (გვ. 18).

მგონი არ შევცდებით, რომ ვსთქვათ, რომ ამ წიგნს სიხარულით მიიღებს ჩვენი მკითხველი საზოგადოება და ნამეტურ ის ნაწილი იმისი, რომელიც დღეს უნებლიეთ კმაყოფილდება სხვადა-სხვა რიჟა და ჩაქუჩ-მაქუჩ-ოღლონების და მექანარეების უნიჭო ნაჯღაბნებით.

ჭ.

---

ჩხუბი, ძიავ, მაშინვე გაგზავნა სტამბოლს, მისთვის რომ ქართველ მოუღგებაო და ღალატს გვიზამსო თათრებსო; მაგრამ, ძიავ, ესენი არაფერი არ ქონდა ალი-ფაშას გულში, იქნება მაშინ კი იფიქრა, როცა დევრიშ-ფაშამ გამოუმცხადა, სტამბოლს უნდა წახვიდე დაბარებული ხარო. მეტი ღონე აღარ იყო, ძიავ, უნდა წასულიყო“...

ამ გვარადვე მოექცა დერვიშ-ფაშა ოსმან-ფაშა თავდგირიძესაც. ოსმან-ფაშას, როგორც თვითონ მელაპარაკა, სტამბოლში ჩასვლამდის არ გაუგია რაზედ იყო დაბარებული. ბათომიდამ უეცრად ჩასვეს პარახოდში და რომ კითხა—რისთვის მგზავნიო, დევრიშმა უთხრა თურმე:—არ ვიცი, გიბარებენ და რაზედ—იქ გეტყვიანო!

„—სტამბოლს ჩავედიო, მიამბო ოსმან-ფაშამ, და იქ მითხრესო, რომ შენ დევრიშ-ფაშამ გამოგგზავნაო. —რა არის მიზეზი-მეთქი, ვიკითხე, რა მაქვს დანაშაულობა?—შენ ღალატი გიქნია და იმისთვის გამოგგზავნაო და მიჩვენეს დერვიშ-ფაშის ტელეგრამა (თელი).

ღმერთს რომ შემკული ადგილი გაუჩენია ამ ქვეყანაში არის მთელი ქობულეთის მაზრა. ამ მაზრაში ბუნებას ყველაფერი მდიდრულად დაუმწესებია. არ აკლია არაფერი, ხეხილები, ბალჩეულნი; ბრინჯი, სიმინდი და ღომი მრავალს მოვა, თუ კაცმა იმუშავა.

მაგრამ, სამწუხაროთ, ეს მაზრა ყოველთვის მტრის საძგერი ადგილი ყოფილა, როგორც ამ წარსულ ომიანობაზედ დაემართა: არ გადარჩენილა ერთი ფაცხა, სულ აოხრებული იყო თათრის და რუსის მეომარ ჯარებისაგან... მაგრამ ისიც უნდა ვსთქვა, თვითონ ხალხსაც ცოტა ენერგია არ აკლდეს მიწის მუშაობაში არ იქნება, თორემ ამ მხარეში ყოველივე მრავალი მოსავალი იქნებოდა. აქაური მაჰმადიან-ქართველები უფრო იმას მისდევენ, რომ როგორ იშოვნონ კარგი ფიშტო (დამბაჩა), მაჭახელის თოფი და ყამა (ხანჯალი), რომ ამითი სადმე ვისმეს შეხვდეს და შეაშინოს...

განსაკუთრებით ახლა ბევრი კაცის კვლა ხდება ქობულეთის და გურიის საზღვარზედ. ეს გარემოება იმას უნდა მივაწეროთ, რომ ქობულეთლები აქ აღარ დგებიან, ოსმალეთში გადასახლებას აპირებენ და მოგეხსენებათ, როცა ხალხი თავის მდიდარ და ბუნებითად შემკულ ქვეყანას შორდება ძალდატანებით, მაშინ ვინც შეხვდება მტრის, კაცი იყოს თუნდ ქალი, არავის არ დაზოგავს...

ა. ჭ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რას იღებდა და რას იღებს სოფლის მღვდელი იმერეთის ეპარხიაში *).

(დასასრული)

მიდიოდნენ რომელსამე სოფელში, შეკრებდნენ მრევლს, შეადგენდნენ მრევლისა და კრებულის სიას; მოიხსენებდნენ სიაში, რომ ამა ეკკლესიაზე სტაროსტათ და სტოროჟებათ არიან ესა-და-ეს პირებიო; ბოლოს მრევლს გამოუცხადებდნენ, რომ დრამა დაენიშნათ მღვდლისათვის; წინაამდეგ შემთხვევაში აშინებდნენ იმათი ეკკლესიის გაუქმებით. მრევლი ძალა-უნებურად თანხმდებოდა კომმისიის წინადადებაზე. კომმისია შეადგენდა ხელწერილს მრევლის მხრით მღვდლის სარჩოზე, ანუ დრამაზე.

ამ ხელწერილით კრებულს ჰქონდა დანიშნული გარდასახადათ მღვდლის სარჩოდ თითეულს: ორი ფუთი სიმინდი, ორი ფუთი ღვინო, ათი კონა ჩალა, ერთი ურემი შეშა, ერთი ქათამი, ერთი ოყა (სამი გირ.) ლობიო, მარილი, აგრეთვე ხორაგეულობა თითქმის ძველი წესით. გვირგვინის საკურთხად 60 კაპეიკიდამ 1 მანეთამდე, საწირავად 2—5 მანეთამდე. სადაც ღვინის მოსავალი იყო კარგი, იქ სულ ღვინოს აძლევდნენ და სიმინდს არა. სხვა-და-სხვა სოფლებში შეხედვისამებრ ადგილობითი გამოსავლისა სულ სხვა-და-სხვა წესი იყო.

საუბედუროთ, ამ კომმისიის შედგენილი ხელწერილები უქმად დარჩა. ას სოფელში ორგან არ აძლევდნენ მღვდელს ამ კომმისიისაგან ჩამორთმეული ხელწერილებისამებრ. ზოგან დაუწყეს ძლევა მღვდლებს მარტო ღვინისა და ზოგან მარტო სიმინდისა.

1859 წლიდამ 1872 წლამდე ასე არეულ-დარეული იყო მღვდლებისა და მრევლის საქმე. მღვდლები მაინც არ რჩებოდნენ ბრალეულნი, რადგან მრევლმა რომ მღვდლებს დრამა დააკლეს, მაშინ მათ საწირავს და გვირგვინის საკურთხს აუწიეს ძლიერ.

1871 წელში მღვდლების მდგომარეობის გაუმჯობესობის თაობაზე დადგენილმა გუბერნიის კომიტეტმა და ადგილობრივ ეპისკოპოსმა მოილაპარაკეს და ყველა შემოსავალი ღვინით, პურით, შეშით და სხვა ხორაგეულობით შეაფასეს და ამათ მაგიერ დასდვეს ორი მანეთი ფული თითო გლეხზე გადასახადათ, გარდა გურიის ეპარხიისა. გურიის ეპარხიაში კი თითო მანეთი არის დადებული. სამარხი და წესის ასაგები შვიდ წლოვან გარდაცვალებულზე მღვდელს დაუნიშნეს 2 მანეთი. შვიდ წელს ზევით ღარიბზეა დადებული 4 მანეთი, საშუალზედ 6 მანეთი და მდიდარზე 10 მანეთი. მაგრამ, რადგან მღვდელი ყველას მდიდრად სთვლის, ამის გამო უფრო ხშირად იღებს 6 და 10 მანეთს. გვირგვინის საკურთხად აქვს დანიშნული ღარიბზე 1 მანეთი, საშუალზე 2 მანეთი და მდიდარზე 3 მანეთი. სულის საქმეზედ ხორაგეულობისაგან დანიშნული აქვს მესამედი ტაბლისა. უმი ხორცი, ტყავი და თავ-ფეხები საკლავისა არ ეძლევათ, თუმცა ეს ჩვეულება ზოგიერთს მიყრუებულს სოფელში შეუმცდელად სრულდება. ნათლობაზე, სახლის კურთხევაზე. და ზიარებაზე—რასაც თავის ნებით მისცემენ.

სადაც დიდი მრევლია, გვარიანი შემოსავალი აქვს მღვდელსა, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ამ ტაქციაზე არ ადგას ნამეტანი ნაწილი მღვდლებისა. რომ ერთი-ორი მღვდელი დაისჯებოდეს მომეტებულის გადასახადის გამორთმევისათვის, კარგია; მაგრამ ვისაც უჩივლია ამისთანა მღვდლებზე, საქმის გათავებას ვერ მოსწრებია თავის სიცოცხლეში.

ამ უკანასკნელ დროს იმერეთის ეპარხიის სამღვდელოთათვის მოთხოვნილია ჯამაგირი საქართველოს ეპარხიის სამღვდელოების მზგავსად. არის ერთი გაუთავებელი მიწერ-მოწერა და არც იცის კაცმა რით გათავდება ეს საქმე. საქართველოს სამღვდელოებაზე იმერეთის სამღვდელოები ბევრათ მეტი ღარიბნი არიან, მაგრამ ისე უაჯოთ არ ეპყრობიან თავის სამრევლოს, როგორც საქართველოს სამღვდელოები, თუმცა იმერეთშიაც ძლიერ უაჯოთ ეპყრობიან თავის მრევლს ზოგიერთები.

ნურავინ ნუ ფიქრობს, რომ ტაქციის დაწესებით მრევლს სიღავათი მიეცეს. სადაც ტაქცია არის დაწესებული, იქ უარესი დრტვინვა და დავი-დარაბა არის მრევლსა და მღვდელს შუა. მღვდლები არ ჯერდებიან ტაქციით დაწესებულებას. ვინ უგდებს ყურს მღვდლებს, რომ ტაქციას არ გადასცილდნენ? ბლალოჩინები? განა არ იცით ჩვენებური ანდაზა: „მგელი მგლის ტყავს არ დახევსო!“ თუ ქალაქში ვერ მოუხერხებიათ, რომ ძალა დაატანონ და ტაქციაზე გააყიდვინონ ყველაფერი, რა ჰქნას საცოდავმა გლეხმა მიყრუებულს სოფელში?

ყველაზე უკეთესი საშუალება მრევლისაგან კრებულის ადვილად რჩენისა არის მოჭრილად ჯამაგირის დანიშვნა მათი. ვსთქვათ მაგალითად; ეკკლესიის კრებული შესდგება ერთი მღვდლისა და ერთი მედავითნისაგან. დაუნიშნა მრევლმა მღვდელს 400 მან. და მედავითნეს 150 მანეთი; მათთვის ეს საკმაოა. უნდა პირობა მისცენ ერთმანეთს გლეხებმა, რომ სრულებით არაფერი არ მისცენ-რა მღვდელს არასოდეს. მაშინ დარჩება მრევლი მოგებული. ეს გადასახადი უნდა გაიწეროს მრევლზე შეძლებისამებრ; გადასახადში უნდა მიიღოს მონაწილეობა აზნაურ-თავადებმაც. რაც მრევლს წვრილ-წვრილად გაურჩევლათ ხდება ეხლა რომ ვიანგარიშოთ ყველა, თითქმის 700—1000 მანეთი გამოვა. მაშინ გარდასახადიც მრევლისათვის ნაკლები იქნება და შეძლებისა-დაგვარათაც იქნება გადახდა. ასრე იქცევიან ზოგიერთ ადგილას რუსეთში, სადაც მღვდლებიც და მრევლიც მადლიერნი არიან. მაგრამ ვინ არის. რომ ჩააგონოს საცოდავ ჩვენ გაუგებარ და გატყაულ გლეხს ამისთანა წესის სარგებლობა?!.

დ—ნ დ—ძე.

*) იხილე დროება № 175.

---

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთ „დროებაში“ № 159 ნომერში იყო დაბეჭდილი ერთი კორრესპონდენცია ქახიდგან, რომელშიაც ზოგიერთი ქველური ყოფა-ქცევა ბლალოჩინ დავით უთიევისა აშკარათ იხატებოდა. ამ ბლ—მა ეჭვი ჩემზედ აიღო „შენ დაგიწერიაო“ და ამისათვის ბილეთი აღარ მომცა სიღნაღის მაზრაში წასასვლელად. ხედავთ, ლმობიერება, სასოწარკვეთილება და ჯავრის ამოყრა რითი იხატება!?

ჩემის ფიქრით, საზოგადოთ კითხვა „ვინ დაწერაო“ და კერძობითი ბლ—ისა „შენ დაგიწერიაო“ ძრიელ გასაოცარია! კაცმა უნდა დამწერაი სრულებით არ იკითხოს, არამედ იკითხოს ისა, რაც დაწერილია, ე. ი. შინაარსი კორრესპონდენციისა რამდენად ჭეშმარიტება არის. ისიც გამომაყოლა წამოსვლაში „მოიცა, მეც დავსწერავ პასუხსაო!“ იქნება ბლ—ს ხელი იმდენად გაუთბეს, რომ მოჰკიდოს კალამ ხელი და რამე სთქვას იმ კორრესპონდენციის გასამტყუნრად?! თუ იმას იქს, მაშასადამე ყოველი ჭეშმარიტება უნდა დაირღვიოს. განა კაცი იტყვის: ორჯერ-ორი ოთხი არ არისო!

მერე კიდევ გაუგზავნე 18 ამ თვისას რაპორტი, რომელშიაც ვსთხოვდი ბილეთს, პასუხიც არ გამცა, არამც თუ ბილეთი არ გამოეგზავნა; მეორედ კიდევ გაუგზავნე 19, არაფერი პასუხი არ მომცა. მესამეს ეხლა ვგზავნი და ვნახოთ რა იქნება.

აი, ბატონო, ჯავრს ამითი ყრილობენ ზოგიერთნი პირნი. ჯერ არ გაგონილა, რომ ბლ—ნს ბილეთი უმიზეზოთ მღვდლისთვის არ მიეცეს. აი ამისთანა დღეში ვართ ამის ხელში.

რაც უნდა, იმას გვიშვრება. „ბურთი-და-მოედანი“ ამის ხელშია. თუნდა ზევით გაჰკრავს ბურთს, თუნდა ქვევით. ერთ ტაფაში ვიწვებით—მას აქეთ, რაც ამის ბლალოჩინობა აღარ დაუმკვიდრეთ—ჩვენი ნება ყოფლობით—თუმცა ისევ ამას დარჩა.

ახლიზგვლის წმიდა ნინოს ეკკლესიის მღვდელი

ტიმოთე გონაევი.

---

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** „რეიტერის სააგენტოს“ სტამბოლიდამ სწერენ: პორტა ახალს ნოტას ამზადებსო, რომელშიაც გარკვეული წინადადება იქნება საბერძნეთისათვის დასათმობის მიწების შესახებო. ოსმალეთი აღიარებს რომ თუ ამ წინადადების მიხედვით არა ისე მას არ შეუძლებელია საბერძნეთთან მორიგება. ამ წინადადების მიუღებლობის შედეგი ევროპას დაედება კისერზედო.

—

ჰერმანიის მმართებლობას ახალ ციხეების გაკეთების და ძველთ შეკეთების პლანის თანახმად, რომელიც დაამტკიცეს 1873 წ. შემდეგ ციხეების შეკეთება და ზოგი მათგანის სულ ახლად გაკეთება დაუწყია: კელნის, კობლენცის, შპანდაუს, კუსტრინის, პოზნანის, ტორნის, დანციგის, კენიგსბერგის, მლოგაუს, პეისსეს, პილაუს, როლბერგის, სვინემინდეს, შტრალზუნდის, ფრიდრიხსრატის, ზონდერბურგის და ვილგელმსგაფენის.

—

ინგლისურს გაზეთს „*Dailu Telegraph*“-ს სირიდამ სწერენ, რომ ოსმალეთი ჯერ კიდევ ემზადება საომრადო თუმცა ყველა ოსმალები ჰფიქრობენ რომ ახლა ბრძოლის გაწევა უნაყოფო იქმნებაო. დაბეჯითებით შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ოსმალები წინააღმდეგობას არ გაუწევენ ეხლა ევროპას. სარწმუნო კაცებისაგან გაუგონიათ, რომ ოსმალოს ჯარს ნაბრძანები აქვსო, როგორც კი ხმელეთზე გამოვა ევროპიელების ესკადრა, იმ წამშივე უკან დაიხიოსო. საქმის მორიგებით გადაწყვეტის მოწინააღმდეგე დასს სახელმწიფოთა შორის უთანხმოების ჩამოვარდნის იმედი ჰქონდა, მაგრამ როგორც გარემოებიდამ სჩანს მოსტყუვდა, თუმცა კიდევ ჰფიქრობს უკანასკნელს ჟამს მაინც ისეთი რამ გარემოება ამოჩნდებაო, რომ საქმის საბოლოოდ გარდაწყვეტილებას გადასდებს.

—

„ჰავასის სააგენტოს“ აცნობებენ, დულცინიას მცხოვრებნი და ალბანიელთ მხედრობა მაზურთან არიან დაბანაკებულნიო. ამათ გარდაუწყვეტიათ რომ არამც-და-არამც არ დაუთმოდ დულცინიო ჩერნოგორიას. ოსმალოს გაწვრთნილი ჯარი მათ უმეგობრდებიანო.

—

ნემეცურს გაზეთს „*Presse*“-ს აცნობებენ ალი-ფაშის მაგიერ ადრიანოპოლის გუბერნატორად ჰაზი-მუხთარ-ფაშა დაინიშნებაო.

—

**გოლოსის** სტამბოლელი კორრესპოდენტი იწერება, აქაურის გაზეთების სიტყვითო, მთელი სომხეთი აჯანყებულა დამოუკიდებლობის მოსაპოებლადაო. სომხებს არაბის რამ-

დენიმე ტომებიც და ალეპპოს ვილაიეთის მცხოვრებლებიც მიიკერძენო. უკანასკნელების მოთავეთ ოსმალეთში სახელგანთქმულის ხოზან-ოღლის-ახმედის შვილი არისო.

—

*Politische Correspondenz*-ის სიტყვით, ხალხთა შორის კომმისიას შემდეგი წესდება მიუღია ევროპის ოსმალეთის ოლქებ'ი შემოსაღებად: ყველა ოლქებში ეროვნის ყრილობანი უნდა დაწესდნენ: გუბერნატორები 5 წლით აირჩევიან; ადგილობრივ შემოსავლიდამ მხოლოდ სახალხო საჭიროების ხარჯს რაც გადარჩება, ის შევა ხონთქრის ხაზინაში. უნდა შემოიღონ ბეჭვდის სრული თავისუფლება და სახლის და პიროვნების შეუხებლობა და სხვ.

# განცხადებანი

—

ქ. გორში გაიღო

## მარიამ კერესელიძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

Въ Гори, въ книжнiй магазинъ Марi Кереселидзе.

(12—1)

რეალური სასწავლებლის უფროსი კლასის **შეგირდს** ჰსურს აძლიოს **გაკვეთილები** (განსაკუთრებით მათემატიკის) და ბინა იქვე ჰქონდეს.

ადრესი: „დროების“ - „ივერიის“ რედაქცია.

(5—3)

ვოდკის დეპო

ვლადიკავკაზის სავოდკე ქარხნისა

## შაურ

აცხადებს, რომ 15 ივლისიდამ ამ 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ვოდკები შემდეგი წოდების: სასადილო, ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 45 კ. ბოთლიანათ 38, ნახევარ ბოთლისათვის 25კ. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების საგანგებოდ დამზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბევრს დაუკლებენ.

ეს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმედილით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირმებს.

მგვიქცევია ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე რომელთ ღირსებისთვის ქარხანა პასუხს აგებს.

ვოდკის დეპო იმყოფება მიხაილოვის ხიდზე ვორონცოვის ძეგლის პირდა-პირ ლიხოტინსკოის სახლში.

(8—4)

ახლად გაღებული

## ზ. ჭიჭინაძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით. წოვიანოვის დუქნებში, № 2.

მსურველთ ამ ადრესით შეუძლიათ წიგნების დაბარება.

Въ Тифлисъ. Въ книжный маг. Зах. Чичинадзе, Базарная улица д. № 2.

(5—5)

დაიბეჭდა და ისყიდება ვართანოვის და ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიებში

## ... ლ ე ქ ს ი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ახლა 2 მეთად დირს.

(100—30)

## კანტორა

## იაგ. ზალინოვის

ოდესის ვაჭრის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

**სიღნაღის მაზრის მარშალი ამით მოიწვევს სიღნაღის მაზრის თავად აზნაურთა მობძანდნენ 31 აგვისტოს, კვირას, სოფ. ბაკურ-ციხეს, საკუთარ სახლში, თავად-აზნაურთ შვილების სწავლა-განათლების საშუალების აღმოსაჩენად.**

(10—8)

საზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დავგეწყო ქ. ქუთაისში გაჭრობა

ს ა კ უ თ ა რ ი ვ

## საზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*'-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება საზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

**მიიღეთ** დიდ-ძალი **ჩაი** პირ-და-პირ პლანტატორებისაგან—**ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი.

(10—8)

**ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად**

**მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.**

(25—13)

**მურაბა** გემრიელი, კანფეთების ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პაპიროსი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—39)

მომავალი წლის, პირველ იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი

## „მიმოხილვა“

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარ წლისა ოთხი-და-ათი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანისა და ამხ წიგნის მაღაზიაში და არწრუნის ქარვასლაში ბიბლიოთეკა № 145

გარეშე ხელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, книжный магазинъ Чарквiани.

რედაქტორი **ნინა გაბაშვილი.**

(6—5)

პატენტიანი ჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები საბურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჯ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—45)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| შეადარეთ ჩვენი ჩაი | —1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის | —1მ.40კ. |
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ დის.

(100—18)

Дозволено цензурою. Тифлисъ 28 Августа 1880 г. Типографiя Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი